



სულხან-საბაორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
Sulkhan-Saba Orbeliani Teaching University

საგანმანათლებლო პროგრამა	ტურიზმი (Tourism)
--------------------------	-------------------

ინფორმაცია პროგრამის შესახებ	უმაღლესი განათლების საფეხური	I საფეხური, ბაკალავრიატი
	მიმართულება სპეციალობა	ბიზნესის ადმინისტრირება - 02 ტურიზმი - 1120
	მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი ტურიზმში Bachelor of Business Administration in Tourism
	სწავლების ენა	ქართული
	პროგრამის მოცულობა კრედიტებით (ECTS)	240 ECTS (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 19 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2-სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს). დამატებითი სპეციალობის პროგრამა: მენეჯმენტი/Managment; თეოლოგია/Theology, საერთაშორისო ურთიერთობები/International Relations. დამატებითი სპეციალობის პროგრამის მოცულობა 60 კრედიტი მოიაზრება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის ფარგლებში, მისი შესწავლა დამოკიდებულია მხოლოდ სტუდენტის მიერ გაკეთებულ არჩევანზე. დამატებით სპეციალობაში არ ხდება კვალიფიკაციის მინიჭება.
	პროგრამის დამტკიცების აქტი	აკადემიური საბჭოს დადგენილებები: პროგრამის დამტკიცება (ოქმი №11-12, 29.10.2012); ცვლილებები (ოქმები №08-14, 15.09.2014; 04-15, 18.09.2015; 01-16, 05.09.2016; 02-17, 14.02.2017;)
	გადაწყვეტილება აკრედიტაციის მინიჭების შესახებ	№ 757, 11.12.2012
	პროგრამის ხელმძღვანელი	იზოლდა ხობაშვილი, სრული პროფესორი

პროგრამის აღწერილობა

პროგრამაზე დაშვება

წინაპირობა – სრული ზოგადი განათლება. ჩარიცხვა ხდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე, გარდა უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრული შემთხვევებისა (ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხვა ხდება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში დადგენილი წესის შესაბამისად). პროგრამით სწავლის გაგრძელება შესაძლებელია მობილობით სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტისა და სხვა უსდ-ის უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (უკვე გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების (კომპეტენციების) თავსებადობა წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დადგინდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სასწავლო უნივერსიტეტში არსებული, კრედიტების აღიარებასთან დაკავშირებული რეგულაციებით).

პროგრამის სტრუქტურა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასაქსაქართველოსკანონმდებლობითგათვალისწინებული (ძირითადი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ / ძირითადი სპეციალობა, დამატებითი სპეციალობა და თავისუფალი კომპონენტი - არასპეციალობის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსები და ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“), თანმიმდევრული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ცოდნის გადაცემას პრინციპით: ზოგადიდან კერძოსკენ, მარტივიდან რთულისაკენ. საბაკალავრო პროგრამის 240 კრედიტში მოიაზრება სავალდებულო ნაწილი 168 კრედიტი (36 კრედიტი – არასპეციალობის კომპონენტი: ტრანსფერული კომპეტენციების, მათ შორის, საკომუნიკაციოუნარების, განვითარებაზე მიმართული არასპეციალობის სასწავლო კურსები და ინგლისური ენის კომპონენტი; 132 კრედიტი – ძირითადი სპეციალობის კომპონენტი, მათ შორის: 126 კრედიტი სასწავლო კურსები, 6 კრედიტი პრაქტიკა და არჩევითი ნაწილი 72 კრედიტი (72 კრედიტი - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის და არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები და/ან სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“ ან 60 კრედიტი - დამატებითი სპეციალობის პროგრამა და 12 კრედიტი - სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის და არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები და/ან სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან აღებული ე.წ. „თავისუფალი კრედიტები“). სტუდენტს თავად შეუძლია არჩევანის გაკეთება და ძირითადი სპეციალობის კომპონირება მისთვის სასურველი დამატებითი სპეციალობის პროგრამასთან და/ან მის მიერ არჩეულ სასწავლო კურსებთან. დამატებითი სპეციალობის პროგრამის არჩევით, დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაზე მიმართული ძირითადი სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, ტრანსფერულ კომპეტენციებზე მიმართული არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, შეთავაზებული დამატებითი სპეციალობის პროგრამ(ებ)იდან და/ან სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების არჩევით (კონცენტრაციით) სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი ინდივიდუალური პროფილის ფორმირება – პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულის კომპეტენციები წარმოადგენს პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო (არასპეციალობის და ძირითადი სპეციალობის) კომპონენტებისა და სტუდენტის მიერ არჩეული დამატებითი სპეციალობის პროგრამის და/ან სასწავლო კურსების მეშვეობით მიღწეული კომპეტენციების ერთობლიობას. პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება წინამდებარე საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 240 კრედიტის დაგროვების და პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების შედეგად.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ტურიზმში აკადემიური ხარისხის მქონე, საქართველოს და საერთაშორისო საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვილი კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება, რომლებსაც ექნებათ ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციები, ბიზნესის ადმინისტრირებისა და ტურიზმის სფეროს ფართო ცოდნა, ტურიზმის სფეროში საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტების შერწყმის, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებისა და ქართულ და ინგლისურ ენებზე წარმატებული საქმიანი კომუნიკაციის დამყარების, ტურიზმის ინდუსტრიის სპეციფიკის გათვალისწინების, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ბიზნეს-პროცესებისა და ტურისტული კომპენიების/ორგანიზაციების მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების, დარგისთვის დამახასიათებელი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდების მეშვეობით სიტუაციების და ინფორმაციის/მონაცემების შეფასება-ანალიზის, პრობლემების მიზეზებისა და შედეგების ურთიერთკავშირის გაცნობიერების და სწორი დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღების უნარი, საორგანიზაციო და ადმინისტრაციულ-სამეურნეო საქმიანობის ეფექტიანად განხორციელებისათვის აუცილებელი პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობისა და მათი დასამკვიდრებლად სწრაფვა, საქმიანობაში პროფესიული და ეთიკური ნორმების დაცვის, ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გათვალისწინების, მიღწეული კომპეტენციების სრულყოფისა და პროფესიონალური განვითარების მოტივაცია, რის შედეგად პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ სწავლის გაგრძელებას უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში), პრაქტიკულ საქმიანობაში ტურიზმის სფეროში მზარდი მოთხოვნების და ბიზნეს-გარემოში მიმდინარე ცვლილებებისა და პერსპექტივების ადეკვატურ აღქმას, სწრაფ ადაპტირებას და კვალიფიკაციის შემდგომ ამაღლებას, პრაქტიკულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში თავისი კომპეტენციების და შესაძლებლობების რეალიზაციას და კარიერულ წინსვლას.

სწავლის შედეგები

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს შემდეგი კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას, კერძოდ ეს არის:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბიზნესის და ტურიზმის თეორიების, კონცეფციების და ძირითადი პრინციპები; • ბიზნესის ადმინისტრირების ფუნქციონალური სფეროების: ზოგადი მენეჯმენტის და მარკეტინგის, მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები, მათი ურთიერთკავშირი და მნიშვნელობა; • ტურისტული საქმიანობის რეგულირების მექანიზმები, ტურიზმის ეკონომიკის, მენეჯმენტის, მარკეტინგის კომპლექსური საკითხები; • ტურიზმის, როგორც მსოფლიო სოციალური მოვლენის, შესაძლებლობების, პოზიტიური და ნეგატიური მხარეების თავისებურებები, მდგრადი ტურიზმის განვითარების ინსტრუმენტების მნიშვნელობა; • საქართველოს და საერთაშორისო ტურიზმის გეოგრაფიის კომპლექსური საკითხები; • ტურიზმზე მკროგარემოს (ეკონომიკური, ტექნოლოგიური, სოციალური, ეკოლოგიური, საინფორმაციო და სხვ.) გავლენის ასპექტები და ტურიზმის სფეროს ანალიზის რაოდენობრივი და სტატისტიკური მეთოდები; • საერთაშორისო და რეგიონულ ტურისტულ ბაზარზე ტურისტული საწარმოების ფუნქციონირების თავისებურებები, ბიზნეს-გარემოსა და ბიზნეს-საქმიანობის პროგნოზირების ძირითადი პრინციპები; • ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შეფასების, სწორად დაგეგმვისა და ტურიზმის ბიზნესში რესურსების გონივრულად გამოყენების ძირითადი ასპექტები; • ტურისტულ ორგანიზაციებში მმართველობითი საქმიანობის განხორციელების მარკეტინგული ხერხები და საშუალებები, სასტუმროსა და განთავსების სხვა საშუალებების ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები და მათი მართვის თავისებურებები; • სხვადასხვა თემატური ტურების (ეკოლოგიური, საქმიანი, გამაჯანსაღებელი და სხვა ტურიზმი) ორგანიზების, დაგეგმვის და სწორად წარმართვის ძირითადი პრინციპები; • ტურიზმის მართვის საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ძირითადი პრინციპები; • ტურიზმისა და სტუმარმასპინძლობის ინდუსტრიის მართვისა და ფუნქციონირების ძირითადი პრინციპები, ტურიზმის ბიზნესის მომსახურების, მისი მრავალსახეობების და ტურიზმის მომსახურების გაყიდვის თავისებურებები, ტურისტული პროდუქტის წინააწვევის მიზნით გაყიდვის ინსტრუმენტების გამოყენების ძირითადი მეთოდოლოგიები.
<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურისტული საწარმოს საქმიანობის განმსაზღვრელი ფაქტორების გათვალისწინებით და ტურისტული ბიზნეს-საქმიანობისათვის დამახასიათებელი სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით პრობლემის გადაჭრის გზების დადგენის უნარი; • წინასწარ მიღებული რეკომენდაციების შესაბამისად ტურისტული პროდუქტის გაყიდვის ადეკვატური ინსტრუმენტების განსაზღვრის და გამოყენების უნარი; • საქართველოს ტურისტულ-რეკრეაციული რესურსების თავისებურებებისა და ბიზნეს-გარემოს გათვალისწინებით ტურისტული ორგანიზაციის/ფირმის/საწარმოს ბიზნეს-გეგმის შესაბამისად დონორტული სამუშაოს დაგეგმვის, ტურისტული მომსახურების ორგანიზების, განხორციელების და კონტროლის მექანიზმების გამოყენების უნარი; • ტურისტული კომპანიის მუშაობის შედეგების დადგენისა და პრობლემების გადაჭრის მიზნით სფეროსათვის დამახასიათებელი და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდით და ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენებით ინფორმაციის/მონაცემების დამუშავების უნარი; • ტურისტული ორგანიზაციის ბიზნეს-საქმიანობის დაგეგმვაში, ტურიზმის სფეროსთან დაკავშირებული ბიზნეს-პროექტების და ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავებაში და განხორციელებაში მონაწილეობის უნარი.
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> • ტურიზმის ბიზნესის სფეროში მიმდინარე მოვლენებისა და პროცესების კანონზომიერებისა და ურთიერთკავშირის გათვალისწინებით ტურისტული კომპანიის მიკრო-მაკრო გარემოზე, საწარმოო ოპერაციებზე და საქმიანობაზე ზემოქმედი ფაქტორების შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; • ტურიზმის ორგანიზაციის წინაშე მდგარი პრობლემის იდენტიფიცირება, მის გადასაჭრელად SWOT-ანალიზის, PEST-ანალიზის და სხვა სტანდარტული და გამორჩეული მეთოდების გამოყენებით ინფორმაციის და სიტუაციის შესწავლა; • მიღებული რაოდენობრივი თუ სხვაობრივი მონაცემების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების პროგნოზირება-შეფასება და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;

	<ul style="list-style-type: none"> სტატისტიკური ინფორმაციის შესწავლა—ანალიზის საფუძველზე არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა და რელევანტური წინადადებების შეთავაზება ახალი საბაზრო შესაძლებლობების გამოყენების, ოპერატიული გეგმებისა და სამოქმედო პროგრამების შემუშავების შესახებ.
კომუნიკაციის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> ტურიზმთან და მოგზაურობასთან დაკავშირებულ საკითხებზე ქართულ და ინგლისურ ენებზე საკმარის დისკუსიებში, კონსულტაციებში და დამოუკიდებლად მონაწილეობა; ორგანიზაციის საქმიანობის, სამუშაო გეგმები ან ინდივიდუალურად შესრულებული სამუშაოს, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების, წინადადებისა და მოსაზრებების შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით დეტალური ანგარიშის/მოხსენების წერილობით მომზადება და ზეპირად წარდგენა, სპეციალისტებისთვის და არასპეციალისტებისთვის ინფორმაციის გადაცემა, მათ შორის საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; სამუშაოს შესრულების ხარისხის გაუმჯობესების, საქმიანი დოკუმენტების/ანგარიშების მომზადების, ინფორმაციის მოძიების და დამუშავების, მიღებისა და გადაცემის მიზნით თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.
სწავლის უნარი	<p>კურსდამთავრებულს შეუძლია:</p> <ul style="list-style-type: none"> კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერება, შემდგომის სწავლის საჭიროების და მიმართულების დადგენა და საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება; ბაკალავრიატში მიღწეული კომპეტენციების სრულყოფა დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით დარგობრივი ლიტერატურის, თანამედროვე ინფორმაციის, სტატისტიკური მონაცემების და სხვ. შესწავლით, ბიზნესისა და ტურიზმის სფეროებში არსებული ტენდენციების და ინოვაციების გათვალისწინებით.
ღირებულებები	<p>კურსდამთავრებულს აქვს:</p> <ul style="list-style-type: none"> ბიზნესისა და ტურიზმის სფეროში არსებული ეთიკური პრობლემების ამოცნობისა და გაცნობიერების უნარი, პროფესიონალური, ეთიკური, სოციალური ნორმების ცოდნა და მათი დაცვის პასუხისმგებლობა; სხვადასხვა ქვეყნების კულტურებისა და ტრადიციების მრავალფეროვნებისა და თავისებურებების გაცნობიერების, განსხვავებული ეთნიკური, კულტურული, სოციალური და სხვ. ღირებულებების გააზრების, გათვალისწინებისა და დაცვის პასუხისმგებლობა, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

<p>დამატებითი სპეციალობის პროგრამა - მენეჯმენტი / Management</p>	
<p>პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი.</p> <p>სწავლების ენა: ქართული.</p> <p>პროგრამის მიზანი: სტუდენტს შეასწავლოს მართვის თანამედროვე ტექნოლოგიების ძირითადი ელემენტები, მმართველობითი საქმიანობის თეორიული და პრაქტიკული ასპექტები, მათი სპეციფიკა და ჩამოყალიბოს აუცილებელი საორგანიზაციო, ადმინისტრაციული და მმართველობითი უნარ-ჩვევები, რაც აუცილებელია სახელმწიფო და კომერციული სექტორის ორგანიზაციებში, კომპანიებში და სხვ. დასაქმებისთვის.</p> <p>სწავლის შედეგები:</p> <p><i>ცოდნა და გაცნობიერება</i> – მენეჯმენტის უნივერსალური ბუნების და მენეჯმენტის აუცილებლობის გააზრება სხვადასხვა ტიპის ორგანიზაციათა მართვის სისტემაში: მიზნებში, სტრუქტურაში, მმართველობით ფუნქციებსა და კომპეტენციებში, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მართვის თანამედროვე მეთოდებში, მმართველობით გადაწყვეტილებათა მიღების სტრუქტურაში;</p> <p><i>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</i> – მართვის მეცნიერების თანამედროვე მიღწევების, სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდებისა და ინსტრუმენტების პრაქტიკაში გამოყენების უნარი; წინასწარ განსაზღვრული მიზნების შესაბამისად მენეჯმენტის სფეროში (ზოგადი, სტრატეგიული, ოპერაციული, ინოვაციური და საერთაშორისო მენეჯმენტი, პროექტების, ადამიანური რესურსის მართვა) სამუშაოების შესრულების, პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელებაში მონაწილეობის, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი.</p> <p><i>დასკვნის უნარი</i> – მენეჯმენტის პროცესზე ზემოქმედი ფაქტორების ახსნა-განზოგადება, სტანდარტული მეთოდების გამოყენებით მათი ანალიზი, შეფასება, დასაბუთებული დასკვნისა და გადაწყვეტილებების შეთავაზება შემდგომი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების თაობაზე; კომპანიის საკადრო და ლიდერული პოტენციალის გამოვლენა-განვითარების პირობების შეფასება, დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება და სარეკომენდაციო წინადადებების შეთავაზება საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;</p> <p><i>კომუნიკაციის უნარი</i> – ქართულ ენაზე წერითი და ზეპირი კომუნიკაცია, დეტალური წერილობითი მოხსენების/ანგარიშის მომზადება და ზეპირი პრეზენტაცია, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დამოუკიდებლად გამოყენება, მათ შორის დარგობრივ სფეროში.</p>	

სწავლის უნარი – საკუთარი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული უნარების დონის შეფასება დამათრუსელ ფილოსოფიის მიზნით შემდგომი სწავლის საჭიროებების განსაზღვრა, დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით სპეციალური ლიტერატურის და ინფორმაციული რესურსების გამოყენებით, დარგის პრაქტიკული ასპექტების და არსებული მოთხოვნების გათვალისწინებით მიღწეული კომპეტენციების განვითარება.

ღირებულებები – ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების, პიროვნების ღირსების, ჯგუფის წევრთა ეთნიკური, კულტურული, სოციალური, რელიგიური და სხვ. მრავალფეროვნების და თავისებურებების პატივისცემის და პიროვნებათშორისი ურთიერთობების და ეთიკური ნორმების დაცვის მოტივაცია.

მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლა ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულის დასაქმებას როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და ორგანიზაციებში.

თეოლოგია / Theology

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული.

პროგრამის მიზანი: სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა ქრისტიანული ეკლესიის ისტორიის, ბიბლიისტიკისა და დოგმატიკის, რელიგიათმცოდნეობის სფეროში.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება – ეკლესიის ისტორია – ანტიკური, შუა საუკუნეების, ახალი და უახლესი ეკლესიის, საქართველოს ეკლესიის ისტორიის ცოდნა; წმიდა წერილის წიგნთა შინაარსი და მისი ერთიანობის შეცნობა – ძველი და ახალი აღთქმის შინაარსობრივი ცოდნა, მათი ჩამოყალიბების ისტორია და ბიბლიური კანონის რაობა; ძველი და ახალი აღთქმის სხვაობისა და თეოლოგიური ერთიანობის საფუძვლების ცოდნა; ეგზეგეტიკური სკოლების წარმოშობისა და მათი სპეციფიკური ნიშნების ცოდნა; წმიდა წერილის ისტორიული და კულტურული კონტექსტის დაზუსტება და თეოლოგიური საზრისის გაცნობიერება; რელიგიათმცოდნეობის საფუძვლები – სხვადასხვა რელიგიური სისტემისა და რწმენის ფორმათა განვითარების ცოდნა. მსოფლიოს რელიგიათა ზოგადი ცოდნა. მათი მსგავსებისა და სხვაობათა გაცნობიერება, აგრეთვე, რელიგიათმცოდნეობის კონტექსტში ქრისტიანული რწმენის ისტორიული ადგილის განსაზღვრა.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – სამომდევრო თეოლოგიის ძირითადი საკითხების გამოყენება რელიგიის გაკვეთილებზე. თანამედროვეობის ნიშანთა ამოცნობა და მიღებული ცოდნის გამოყენება საკუთარი პროფესიული გამოცდილების დამოწმებით; ეკუმენური საქმიანობის განხორციელება – კონფესიათა შორის დიალოგის პრაქტიკული განხორციელება. ამ დიალოგის ისტორიისა და დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით შექმნილი ცოდნის გამოყენება და პრაქტიკული დასაბუთება როგორც რელიგიათმშორის ურთიერთობებში, ასევე შიდაკონფესიურ ცხოვრებაში.

დასკვნის უნარი – თეოლოგიური საკითხების გააზრება და მისი ერთიანობაში მოყვანა, თეოლოგიურ დისციპლინათა ურთიერთმიმართების განსაზღვრა. რებისათვის; ტრადიციის ადგილისა და როლის განსაზღვრა, რწმენის მნიშვნელობის ჩვენება ინდივიდისა და საზოგადოებისათვის.

კომუნიკაციის უნარი – რელიგიით, რწმენითა და თეოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისათვის არათეოლოგიური ენით თეოლოგიური ცოდნის გადაცემისა და არათეოლოგიათვის თეოლოგიური შინაარსის გადაცემის უნარი – არასპეციალისტებისთვის რწმენის, ტრადიციისა და კულტურული ღირებულებების მნიშვნელობის ახსნა, პროფესიული ტერმინოლოგიის გამოუყენებლად მათთვის გასაგებ ენაზე ინფორმაციის მიწოდება, საკითხების განმარტება და მსჯელობა.

სწავლის უნარი – ცოდნის გაღრმავების უნარი – დამოუკიდებლობის გარკვეული ხარისხით ინფორმაციის პირველადი და მეორადი წყაროების განსაზღვრა, ინფორმაციის მოძიების მიზნით სხვადასხვა რესურსების (საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, დარგობრივი და სპეციალური ლიტერატურის და სხვ.) გამოყენება, სხვადასხვა ალტერნატიული წყაროდან საჭირო ინფორმაციის მოძიება, დაგროვება, სისტემატიზაცია და ერთიანობაში მოყვანა, შესწავლა-შეპირისპირება და ანალიზი, განსახილველი თემისა თუ საკითხისადმი მეთოდური მიდგომა, უცხო საკითხების მინიმალური დახმარებით დამუშავება.

ღირებულებები – ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის უნარი – ღირებულებათა იერარქიის განსაზღვრა და სწორი არჩევანის გაკეთება ამ იერარქიის მიხედვით, ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობის მოტივაცია და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლა ხელს შეუწყობს სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვ. დასაქმებას.

დამატებითი სპეციალობის პროგრამა - საერთაშორისო ურთიერთობები / International Relations

პროგრამის მოცულობა: 60 კრედიტი.

სწავლების ენა: ქართული.

პროგრამის მიზანი: სტუდენტს მისცეს საბაზისო ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი ცნებისა და თეორიების, სტრუქტურისა და ინსტიტუტების, და ამ სისტემაში მიმდინარე ინსტიტუციური, პოლიტიკური და სხვა პროცესების დიპლომატიური და პოლიტიკური ურთიერთობების სფეროს შესახებ.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება – აქვს ცოდნა, რომელიც მოიცავს კომპლექსური საკითხების კრიტიკულ გააზრებას და გაცნობიერებას, საერთაშორისო ურთიერთობების სისტემისა და სტრუქტურის ძირითადი პრინციპებს და თავისებურებებს, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე თეორიებს და მათ მნიშვნელობას საერთაშორისო სისტემის ფორმირებაში.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი – შეუძლია წინასწარ მიღებული მითითებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით პოლიტიკური და დიპლომატიური პროექტების მომზადებაში და განხორციელებაში მონაწილეობა, ინდივიდუალური და გუნდური მუშაობა.

დასკვნის უნარი – შეუძლია საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა წყაროებიდან თეორიული თუ ფაქტობრივი ინფორმაციის მოძიება, მოძიებული ინფორმაციიდან მიღებული მონაცემების დაჯგუფება და კლასიფიცირება, მისი შესწავლა და შეფასება.

კომუნიკაციის უნარი – შეუძლია ტერმინოლოგიის სწორი გამოყენებით წერილობითი და ზეპირი ფორმით დაინტერესებული პირებისთვის (სპეციალისტები ან არასპეციალისტები) ინფორმაციის მიწოდება, პრობლემის აღწერა, პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრებების და არგუმენტების ლოგიკურად კონსტრუირება.

სწავლის უნარი – შეუძლია თვითგანვითარებისა და საკუთარი კომპეტენციების მუდმივი სრულყოფის აუცილებლობის გაცნობიერება, პროფესიული კომპეტენციების სრულყოფის მიზნით საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ელექტრონული საინფორმაციო სისტემების მონაცემთა ბაზებისა და სპეციალური დარგობრივი ლიტერატურის გამოყენებით ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება-გაცნობა. ცოდნის განახლება ამ სფეროში არსებული სიახლეებისა და საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების გზით.

ღირებულებები – აქვს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინების, მულტიკულტურული საზოგადოების თავისებურებების გაცნობიერების, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ღირებულებების იდენტიფიცირებისა და გათვალისწინების უნარი.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სწავლების პროცესში, პროგრამის კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით, გამოიყენება: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკული მუშაობა, სემინარი, ელექტრონული რესურსით სწავლება, ელექტრონული სწავლება და სხვა მეთოდები. სწავლების პროცესში შესაძლებელია ამა თუ იმ მეთოდისთვის პრიორიტეტის მინიჭება და მეთოდების კომბინირება, რაც მიმართულია სასწავლო პროცესის აქტივიზებაზე და სასწავლო პროცესში სტუდენტთა მონაწილეობის სტიმულირებაზე, შემეცნებითი/კვლევითი უნარების, ცოდნით აქტიური ოპერირებისა და პრაქტიკული გამოყენების, სიტუაციის და ინფორმაციის ანალიზისა და ინტერპრეტაციის, შედეგების დაკონკრეტების, განზოგადებისა და ახსნის, მსჯელობისა და დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბების, სამუშაოს სტრუქტურირებისა და დროისმენეჯმენტის, პრობლემების გადაჭრისა და დაწყვეტილების მიღების, გუნდური და დამოუკიდებელი მუშაობის, კომუნიკაციის დამყარებისა და დისკუსიის წარმართვის, თვითპრეზენტაციის და თვითშეფასების და სხვ. უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაზე და მაქსიმალურ განვითარებაზე - სტუდენტები ეჩვევიან მიზნების დასახვას და მათი მიღწევის ადეკვატური გზებისა და მეთოდების გამოყენებას, შესასრულებელი სამუშაოს სტრუქტურირებას, ეტაპობრივ დაგეგმვას და დროის ორგანიზებას, საჭირო ინფორმაციის მოპოვებისთვის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და საბიბლიოთეკო ფონდის აქტიურ გამოყენებას, დასახული ამოცანის რელევანტური ინფორმაციის, მონაცემების და ლიტერატურის მოძიებას, ინფორმაციის/მონაცემების ანალიზს შესაბამისი მეთოდების გამოყენებით, ვერბალურ/წერით კომუნიკაციას, პრეზენტაციის მომზადება-მოწყობას, კომპეტენციის თვითპრეზენტაციას, დასკვნების და მოსაზრებების ჩამოყალიბებას და არგუმენტირებულ დავას, მსჯელობას და სხვ. პროგრამის კომპონენტების შესწავლისას გამოყენებული მეთოდები მითითებულია შესაბამისი სილაბუსებში, მათი განმარტებები კი განთავსებულია ვებ-გვერდზე <http://sabauni.edu.ge/ge/for-students/regulations-rules> და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. პროგრამის კომპონენტის შესწავლისას გამოყენებული მეთოდები უზრუნველყოფენ დაგეგმილი დარგობრივი და/ან ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციების მიღწევას, საბაკალავრო პროგრამის ყველა კომპონენტში გამოყენებული მეთოდების ერთობლიობა კი-ბაკალავრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი დარგობრივი და ზოგადი (ტრანსფერული) კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

სტუდენტის მიღწევების შეფასების ზოგადი წესი

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის დაუფლება სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიურ მონაწილეობას ითვალისწინებს და შექმნილი ცოდნის უწყვეტი შეფასების პრინციპს ეფუძნება. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონე ვასდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა). შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება

სწავლის შედეგების მიღწევის დონე. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში. ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

შეფასების სისტემა უშვებს:

ხუთი სახის დადებით შეფასებას:

(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩააბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფერო

კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს ტურიზმის ბიზნესის სფეროს კერძოდა სახელმწიფო სექტორში, ქართულ და უცხოურ ტურისტულ კომპანიებში იმ სამსახურობრივ პოზიციებზე, რომლისთვისაც მოითხოვება/საკმარისია ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრის ტურიზმში აკადემიური ხარისხი. ასევე, კურსდამთავრებული შეიძლება დასაქმდეს: მენეჯმენტის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - როგორც ქართული, ისე უცხოური კომპანიების ადმინისტრაციულ, სამეურნეო, საინფორმაციო და სხვ. სამსახურებში, ფირმებსა და საწარმოებში; ინტერკულტურული კომუნიკაციის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - კულტურის სამინისტროში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, საგამომცემლო დაწესებულებებში, ბიბლიოთეკებსა და დამუშავებებში, სხვადასხვა მოკლე და გრძელვადიან პროექტებში და ა.შ.; თეოლოგიის დამატებითი სპეციალობის პროგრამის შესწავლის შემთხვევაში - სახელმწიფო და კერძო სექტორის დაწესებულებებში, სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში, რელიგიურ ორგანიზაციებში, საგამომცემლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ან/და სხვა.

პროგრამის კურსდამთავრებულის სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

კურსდამთავრებულს სწავლის გაგრძელება შეუძლია უცხოეთის და საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე (მაგისტრატურაში) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც წინაპირობის სახით არ ითვალისწინებს სხვა მიმართულებაში/სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

სასწავლო გეგმა

№	კომპონენტი	წინაპირობები	კრედიტი	სულ საათები	საათების განაწილება				სემესტრები								
					საკონტაქტო საათების განაწილება			სულ საკონტაქტო სთ.	დამოუკიდებელი მუშაობის სთ.	I	II	III	IV	V	VI	VII	VIII
					ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და/ან პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდა	დასვენითი გამოცდა										
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	14	15	16	17	18
პროგრამის სავალდებულო ნაწილი			168							24	30	30	24	18	18	12	12
არასპეციალობის კომპონენტი:			36														
1.	საოფისე კომპიუტერული პროგრამები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	6							
2.	კომუნიკაციის, პრეზენტაციის და დისკუსიის ტექნიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116		6						
ინგლისური ენის კომპონენტი*:			24*														
3.	ინგლისური ენა – B1/1*	წინაპირობის გარეშე	6	150	56	3	3	62	88	6							
4.	ინგლისური ენა – B1/2*	ინგლისური ენა– B1/1	6	150	56	3	3	62	88		6						
5.	ინგლისური ენა – B2/1*	ინგლისური ენა– B1/2	6	150	56	3	3	62	88			6					
6.	ინგლისური ენა – B2/2*	ინგლისური ენა–B2/1	6	150	56	3	3	62	88				6				
ძირითადი სპეციალობის კომპონენტი:			132														
7.	ბიზნესის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116		6						
8.	შესავალი ტურიზმში	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	6							
9.	მიკროეკონომიკის პრინციპები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	6							
10.	ტურიზმის გეოგრაფია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116		6						
11.	ფინანსური აღრიცხვა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116			6					
12.	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები	6	150	28	3	3	34	116		6						
13.	მენეჯმენტის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116			6					
14.	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116			6					

15.	მათემატიკის ზოგადი კურსი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116			6					
16.	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116				6				
17.	მარკეტინგის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116				6				
18.	ბუნების ძეგლები და ეკოლოგიური ტურიზმი	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116				6				
19.	საქართველოს ტურისტული მარშრუტები	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116					6			
20.	კულტურული ტურიზმი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116					6			
21.	დარგობრივი ინგლისური ენა ტურიზმისთვის	ინგლისური ენა-4/ B2	6	150	28	3	3	34	116					6			
22.	გიდის ხელოვნება	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116						6		
23.	ტურიზმის სამართლებრივი რეგულირება	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116						6		
24.	ტუროპერეტიინგი	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116						6		
25.	სამუზეუმო საქმე	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116							6	
26.	ინფორმაციული ტექნოლოგიები ტურიზმში	საოფისე კომპიუტერული პროგრამები; შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116							6	
27.	პრაქტიკა	I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	6	150	-	-	3	81	69								6
28.	საბაკალვრო პროექტი	I-VII სემესტრების ძირითადი სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები	6	150	-	-	3	34	116								6
პროგრამის არჩევითი ნაწილი			72														
არჩევითი სასწავლო კურსები და/ან „თავსუფალი კრედიტები“			12	ასარჩევი კრედიტების რაოდენობა:	I.	ძირითადი სპეციალობა + არჩევითი სასწავლო კურსები	0	0	0	0	12	12	18	18			
			60		II.	ძირითადი სპეციალობა + არჩევითი სასწავლო კურსები + დამატებითი სპეციალობა	0	0	0	0	-	-	12	-			
								I.	0	0	0	0	2	2	4	3	
								II.	0	0	0	0	-	-	1	-	

54.	საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობა და ტურიზმი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116				+	+	+	+	+	+
55.	ტურიზმის მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლებით	6	150	28	3	3	34	116						+	+	+	+
56.	დანიშნულების ადგილის მენეჯმენტი	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116				+	+	+	+	+	+
57.	MICE ტურიზმი	შესავალი ტურიზმში	6	150	28	3	3	34	116				+	+	+	+	+	+
58.	კატასტროფების რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						+	+	+	+
59.	ციფრული მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები საოფისე კომპიუტერული პროგრამები	6	150	28	3	3	34	116						+	+	+	+
არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები: არჩევა შესაძლებელია:																		
60.	ინგლისური ენა A1	წინაპირობის გარეშე	6	150	56	3	3	62	88	+	+	+						
61.	ინგლისური ენა A2	ინგლისური ენა A1	6	150	56	3	3	62	88	+	+	+	+					
62.	ფილოსოფიის შესავალი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
63.	კულტურის ფილოსოფია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
64.	ეთიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
65.	ლოგიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
66.	სოციოლოგიის საფუძვლები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
67.	კულტუროლოგია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
68.	ზოგადი ფსიქოლოგია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
69.	სოციალური ფსიქოლოგია	ზოგადი ფსიქოლოგია	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
70.	ძველი და შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
71.	ახალი და უახლესი დროის მსოფლიო ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116	+	+	+	+	+	+	+	+	+
თავისუფალი კრედიტები (დამატებითი სპეციალობის პროგრამ(ებ)იდან და/ან სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსები)										+	+	+	+	+	+	+	+	+

დამატებითი სპეციალობის პროგრამა – მენეჯმენტი			60							12	12	18	18			
1.	ფინანსების ზოგადი თეორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116				6			
2.	პროექტების მართვის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116				6			
3.	რეკლამის მენეჯმენტის საფუძვლები	მარკეტინგის საფუძვლები; ინგლ. ენა-4 (B2) / B2	6	150	28	3	3	34	116					6		
4.	კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						6	
5.	ინოვაციური მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116					6		
6.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116						6	
7.	ორგანიზაციული ქცევა	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116						6	
8.	საერთაშორისო ბიზნესი	ბიზნესის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116							6

9.	ოპერაციათა მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116										6
10.	ადამიანური რესურსის მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	6	150	28	3	3	34	116										6

დამატებითი სპეციალობა – თეოლოგია			60								12	12	18	18					
1.	ადრეული ეკლესიის ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116					6					
2.	რელიგიათმცოდნეობა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116					6					
3.	შუა საუკუნეების ეკლესიის ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						6				
4.	ბიბლიის შესავალი	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						6				
5.	ახალი დროის ეკლესიის ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116							6			
6.	სინოპტიკური სახარებები და მოციქულთა საქმეები	ბიბლიის შესავალი	6	150	28	3	3	34	116							6			
7.	ფუნდამენტური თეოლოგია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116							6			
8.	უახლესი დროის ეკლესიის ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116								6		
9.	ხუთწიგნული და ისტორიული წიგნები	ბიბლიის შესავალი	6	150	28	3	3	34	116								6		
10.	საქართველოს ეკლესიის ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116									6	

დამატებითი სპეციალობა – საერთაშორისო ურთიერთობები			60								12	12	18	18					
1.	საერთაშორისო ურთიერთობების ისტორია	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116					6					
2.	შესავალი პოლიტიკაში	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116					6					
3.	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						6				
4.	პოლიტიკური თეორიები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116						6				
5.	პოლიტიკური იდეოლოგიები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116							6			
6.	საერთაშორისო ურთიერთობების თეორია	შესავალი საერთაშორისო ურთიერთობებში	6	150	28	3	3	34	116							6			
7.	საერთაშორისო ორგანიზაციები და ინსტიტუტები	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116							6			
8.	შედარებითი პოლიტიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116								6		
9.	ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116								6		
10.	საერთაშორისო უსაფრთხოება	წინაპირობის გარეშე	6	150	28	3	3	34	116									6	

შენიშვნა:

1) საკონტაქტო საათების განაწილება (ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა და/ან პრაქტიკული მეცადინეობა) მითითებულია შესაბამის სილაბუსებში;

2) ინგლისური ენის კომპონენტი: ა) სტუდენტები, რომლებიც არ ფლობენ ინგლისურ ენას და იწყებენ მის შესწავლას, არ აქვთ ჩაბარებული ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ინგლისური ენა ვალდებულნი არიან შეისწავლონ სასწავლო კურსები ინგლისური ენა – A1, A2, B1/1, B1/2, B2/1, B2/2; ბ) A1 ან A2 დონეზე ინგლისური ენის ფლობის დადასტურების შემთხვევაში სტუდენტები შეისწავლიან, შესაბამისად, სასწავლო კურსებს ინგლისური ენა- A2, B1/1, B1/2, B2/1, B2/2 (A1-ის შემთხვევაში) ან ინგლისური ენა - B1/1, B1/2, B2/1, B2/2 (A2-ის შემთხვევაში). სტუდენტები, რომლებმაც ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩააბარეს ინგლისური ენა სავალდებულო საგნად ან ფლობენ მას B1 დონეზე, სწავლობენ ინგლისურ ენა B2/1, B2/2-ს; გ) სტუდენტები, რომლებიც წარმოადგენენ B2-ის და B2-ზე მაღალ დონეზე ინგლისური ენის ფლობის დამადასტურებელ დოკუმენტს, არ არიან ვალდებულნი ისწავლონ ინგლისური ენა B1/1, B1/2, B2/1, B2/2-ის სასწავლო კურსები; დ) ინგლისური ენის ცოდნის დონე შეიძლება დადგინდეს ენის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტით/შიდასაუნივერსიტეტო ტესტირებით. ინგლისური ენის შესაბამის დონეზე ცოდნის დამადასტურებელ დოკუმენტში მოიაზრება: უცხოეთში/საქართველოში ინგლისურ ენაზე მიღებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (ატესტატი/დიპლომი), საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული შესაბამისი ინფორმაციის შემცველი დიპლომის დანართი/ცნობა, საქართველოში მოქმედი შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო ორგანიზაციის/წარმომადგენლობის მიერ გაცემული სერტიფიკატი/სხვ., საერთაშორისო სერთიფიკატი (ტოიფელი (TOEFL PBT), ტოიფელი (TOEFL IBT), ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (IELTS), ბრიტანეთის საბჭოსა და კემბრიჯის უნივერსიტეტის ინგლისური ენის გამოცდები (Cambridge Exam),

კემბრიჯის უნივერსიტეტის (Cambridge ESOL Examination) და/ან სხვ.; ე) წინამდებარე წესი არ არის სავალდებულო იმ სტუდენტებისთვის, რომლებმაც ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის მიუხედავად, გამოთქვეს სურვილი შეისწავლონ ინგლისური ენა– B1/1, B1/2, B2/1, B2/2–ის სასწავლო კურს(ებ)ი; ვ) ზემოთ გათვალისწინებულ „ბ“ და „გ“ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის, არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, დამატებითი სპეციალობ(ებ)ის ან/და სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით. ამ შემთხვევებში, შესაბამისად იცვლება საბაკალავრო პროგრამის სავალდებულო (მცირდება) და არჩევითი (იზრდება) ნაწილების მოცულობები და მათი თანაფარდობა; ზ) ზემოთ გათვალისწინებულ „ა“ შემთხვევებში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ნაწილს აკლდება ინგლისური ენის A1 და A2 12 კრედიტი, შესაბამისად ამ შემთხვევაში საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის 240 კრედიტის დაგროვება ხდება სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ძირითადი სპეციალობის, არასპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსების, და სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსების მეშვეობით.

4) დამატებითი სპეციალობის პროგრამა დამოუკიდებლად ითვლება მხოლოდ 60 კრედიტის მიღების შემთხვევაში. თუ სტუდენტი შეწყვეტს სწავლას დამატებითი სპეციალობის პროგრამით (გააუქმებს რეგისტრაციას პროგრამაზე), პროგრამის ფარგლებში მიღებული კრედიტები ჩაეთვლება „თავისუფალ კრედიტებად“;

5) სემესტრში არჩევითი კრედიტების მისაღებად სტუდენტს შეუძლია ზემოთ მითითებული სქემის შესაბამისად მისთვის სასურველი სასწავლო კურსების არჩევა ისე, რომ სემესტრში სავალდებულო და სტუდენტის მიერ შემოთავაზებულიდან ან/და დამატებითი სპეციალობ(ებ)ის ან/და სხვა საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან არჩეული სასწავლო კურსების კრედიტების ჯამური რაოდენობა არ აღემატებოდეს 30 კრედიტს (გარდა პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევისა), ხოლო არჩეული კურსების რაოდენობა კი – სქემაში მითითებულს. სასწავლო კურსების არჩევისას, ისევე როგორც სხვა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)იდან სასწავლო კურსების (ე.წ. „თავისუფალი კრედიტების“) არჩევის შემთხვევაში, შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსების წინაპირობების შესრულების აუცილებლობა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების/პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების რუკა

N	დასახელება	ცოდნა და გაცნობიერება	ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	დასკვნის უნარი	კომუნიკაციის უნარი	სწავლის უნარი	ღირებულებები
ძირითადი სპეციალობის კომპონენტი							
სავალდებულო სასწავლო კურსები/პროგრამის კომპონენტები:							
1.	შესავალი ტურიზმში	X	X	X	X	X	X
2.	ბიზნესის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
3.	მიკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X	X	X	
4.	ტურიზმის გეოგრაფია	X	X	X	X	X	X
5.	ფინანსური აღრიცხვა	X	X	X	X	X	
6.	მაკროეკონომიკის პრინციპები	X	X	X	X	X	
7.	მენეჯმენტის საფუძვლები	X	X	X	X	X	X
8.	ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები	X	X	X	X	X	X
9.	მათემატიკის ზოგადი კურსი	X	X	X		X	X
10.	კულტურული ტურიზმი	X	X	X	X	X	X
11.	ტურიზმისა და მასპინძლობის მენეჯმენტი	X	X	X	X	X	X
12.	მარკეტინგის საფუძვლები	X	X	X	X	X	
